სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: რუსული ფილოლოგია

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორები დ.გოცირიძე, მ.ფილინა
კონსულტანტი ემერიტუსი ნ. ჭოხონელიძე

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება
პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია თეორიული, მეთოდოლოგიური და ემპირიული მასალების, ენობრივი წყაროების, აგრეთვე თანამედროვე ენის მეცნიერებისა და რუსული ენის განვითარების ტენდენციების, თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებული კვლევის პრინციპების ფუნდამენტალური ცოდნისა და ანალიზის საფუძველზე მკვლევარებისა და რუსული ენის სპეციალისტების მომზადება. რუსული ენის დოქტორანტურა ითვალისწინებს მეცნიერთა ფუნდამენტალურ ლინგვისტურ და ფართო ფილოლოგიურ მომზადებას. ფილოლოგიური განათლების ფუნდამენტალურობას უზრუნველყოფს სლავური და საეკლესიო სლავური ენის საფუძვლების შესწავლა. ენის მოდულის სავალდებულო საგნები უზრუნველყოფს დოქტორანტს მეთოდოლოგიური საფუძვლებით შემდგომი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის, მის მიერ არჩეულ სფეროში. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი ნაწილისაგან.

განსაკუთრებული პირობები:
დოქტორანტების მიერ ექსპერტიზაზე წარდგენილი სტატიების უარყოფითად შეფასების შემთხვევავში:

1. თუ შეფასება არა აღემატება 10 ქულას, მაძიებელი ამოირიცხება დოქტორანტთა სიიდან. მას უფლება აქვს თავიდან ჩააბაროს დოქტორანტურაში და ხელახლა გაიაროს სადოქტორო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებით.
2. თუ წარმოდგენილი სტატიები შეფასდა უარყოფითად, მაგრამ 11-დან 15 ქულამდე, დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადაამუშაოს სტატია, ან მოამზადოს ახალი სტატია, უარყოფითად შეფასებულის სანაცვლოდ, რათა ის კიდევ ერთხელ გაიგზავნოს ექსპერტიზაზე.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტების შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები.

კერძოდ: წინამდებარე სადოქტორო პროგრამით დოქტორანტურაში შეიძლება ჩაირიცხონ ყოფილი თსუ ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ გამოცდა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებულ ყველა საგანში და დამტკიცებული აქვთ საკვალიფიკაციო თემა მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის სპეციალობით.

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი
პროგრამა გათვალისწინებულია ყოფილი ასპირანტებისა და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებისათვის, რომელთა რიცხვი ერტ ათეულს სცილდება. სავარაუდოდ, ამ პროგრამით დოქტორანტურაში ჩაირიცხება, 3-4 მაძიებელი, რომელთა ხელმძღვანელობას პროგრამა უზრუნველყოფს. საჭიროების შემთხვევაში, პროგარმის ხელმძღვანელი-კოორდინატორი მოიწვევს დამატებით ხელმძღვანელს.

სადოქტორო პროგრამის შედეგი:
სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე მოხდება დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა და მისი კომპეტენციის სფეროში შემავალი აკადემიური და კვლევითი პროგრამების დაახლოება. მისი, როგორც დარგის სპეციალისტის, ხარისხის ამაღლება და ინტეგრირება სამეცნიერო საზოგადოებაში. დოქტორანტი შექმნის მაღალი მეცნიერული ღირებულების თეორიულ ნაშრომს ეს თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე ახალი სიტყვა იქნება.

დოქტორანტის დასაქმების სფეროები:

- ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სამეცნიერო პროექტში;
- ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შესაბამისი ტიპის ადგილობრივი სამხარეო და ადგილობრივ დეპარტამენტებში;
- საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო ბიბლიოთკებში;
- სასულიერო აკადემიებსა და სემინარიებში;
- საგამომცემლო და პერიოდული პრესის რედაქციებში მთარგმნელად და სტილისტად
- მასმედიის ყველა მიმართულებით, ექსპერტად და კონსულტანტად;
- სამთავრობო და კერძო სტრუქტურების მეცნიერ-ექსპერტად;

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
თსუ ბიბლიოთეკა, კომპიუტერული უზრუნველყოფა თსუ-ს საინფორმაციო ცენტრის საშუალებით, რუსული ფილოლოგიის კაბინეტის ბიბლიოთეკა (თსუ მე–8 კორპუსი)

პროგრამაში ჩართული პროფესორები: ასოცირებული პროფესორი ნ. ბასილაია, პროფესორები: ი. კაპანაძე, ნ. ყიფიანი.